



# 29-ე განყოფილება მოგების გადასახადი

# განსახილველი საკითხები

- მიმდინარე გადასახადის აღიარება და შეფასება
- ურთიერთგადაფარვა
- განმარტებითი შენიშვნები
- სრულ ფასს-თან შედარება

# მიმდინარე გადასახადის აღიარება და შეფასება

- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, განყოფილება 29 ვრცელდება მოგების გადასახადზე, რომელიც ეფუძნება მოგების განაწილებას (მაგ. დივიდენდები), რადგან ასეთი გადასახადი ეფუძნება დასაბეგრ მოგებას:
  - თუმცა, მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს:
    - ✓ 15% მოგების გადასახადს **დასაბეგრ ხარჯებზე (მაგ უსაბუთო ხარჯები)**, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცხებას (ის აღიარდება, როგორც სოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში);
    - ✓ 5% დივიდენდის საშემოსავლო გადასახადი აქციონერების სახელით გადაიხდება ბიუჯეტში, რადგან ის წარმოადგენს შემოსავლის წყაროსთან დაკავშირებულ გადასახადს. დივიდენდის საშემოსავლო უნდა აისახოს საკუთარ კაპიტალში, როგორც დივიდენდების ნაწილი (იხ. 22-ე განყოფილება).
- **აღიარება:** მიუხედავად იმისა რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მალაღია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება (გამოიყენეთ მსჯელობები).
- შეფასება: განაწილებული მოგების **15%**.

# მაგალითი – მიმდინარე გადასახადის აღიარება და შეფასება

68

**მაგ 1.** 2018 წლის 28 დეკემბერს საწარმოს აქციონერებმა მიიღეს გადაწყვეტილება 50,000 ფე-ის ოდენობით დივიდენდის განაწილების შესახებ.

როგორ აისახება აღნიშნული ოპერაცია?

28.12.2018

დ) მოგების გადასახადის ხარჯი	8,823.53	
კ) გადასახდელი მოგების გადასახადი		8,823.53
$50,000/0.85 * 15\% = 8,823.53$		
დ) გაუნაწილებელი მოგება	50,000	
კ) გადასახდელი დივიდენდები		47,500
კ) დივიდენდის საშემოსავლო გადასახადი		2,500
$50,000 * 5\% = 2,500$		

# მაგალითი – მიმდინარე გადასახადის აღიარება და შეფასება

69

**მაგ 2.** 2018 წლის 29 დეკემბერს საწარმომ გასწია წარმომადგენლობითი ხარჯი საგადასახადო კოდექსით დასაშვებ ზღვარს ზემოთ 5,000 ფე-ის ოდენობით.

**როგორ აისახება აღნიშნული ოპერაცია?**

29.12.2018

დ) სხვა ხარჯები	882.35
კ) გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა	882.35

$$5,000/0.85*15%= 882.35$$

# ურთიერთგადაფარვა

- იმ შემთხვევაში უნდა განახორციელოს მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა, როდესაც მას აქვს ამ თანხების ჩათვლის იურიდიული ძალის მქონე უფლება და ანგარიშსწორებას გეგმავს ნეტო საფუძველზე.

# განმარტებითი შენიშვნები

- საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარება აღიარებულ ოპერაციებსა და სხვა მოვლენებთან დაკავშირებული საგადასახადო შედეგების ხასიათისა და ფინანსური გავლენის შეფასებაში.

# შეღარება სრულ ფასს-თან

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.